დანართი N24

რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს

რატომ არის საჭირო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დამატებითი ღონისძიებები COVID-19-ის გავრცელებისას?

შშმ პირები შესაძლოა COVID-19 გავრცელების დროს უფრო დიდი რისკის ქვეშ იყვნენ შემდეგი მიზეზების გამო:

- დაბრკოლებები ძირითადი ჰიგიენური ზომების მიღებისას, როგორიცაა ხელის დაბანა (მაგ. ხელსაბანები შესაძლოა იყოს ფიზიკურად მიუწვდომელი ან, პირს შესაძლოა შეზღუდული ჰქონდეს უნარი, საფუძვლიანად გაისუფთაოს ხელები დაბანის დროს);
- სოციალური დისტანციის დაცვის სირთულე დამატებითი მზრუნველობის საჭიროების გამო, ან, რადგან ინსტიტუციონალიზებულია (სჭირდება დახმარება);
- სხვადასხვა ინფორმაციის მისაღებად ან, ფიზიკური საჭიროების გამო არსებობს საგნებზე შეხების ალბათობა;
- დაბრკოლება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციასთან წვდომასთან დაკავშირებით.

COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში შშმ პირები შესაძლოა დაავადების გართულების უფრო მეტი რისკის ქვეშ იყვნენ, შემდეგი მიზეზების გამო:

- COVID-19 ამწვავებს არსებული დაავადებების მქონე პაციენტების მდგომარეობას, განსაკუთრებით რესპირატორული დაავადებების, იმუნური სისტემის ფუნქციის, გულის დაავადებების ან, დიაბეტის მქონე პირებში;
- სამედიცინო მომსახურების მიღების დაბრკოლებები;
- დაავადება შშმ პირებზე ასევე, არაპროპორციულ გავლენას ახდენს მათთვის აუცილებელ მომსახურებებთან წვდომის დარღვევის გამო.

რეკომენდაციები შშმ პირებისა და მათი მზრუნველებისთვის

COVID-19-თან შეხების რისკის შემცირება:

შშმ პირებმა და მათმა მზრუნველებმა უნდა გაითვალისწინონ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებები COVID-19-ის გავრცელებისას დაცვის ძირითადი ზომების შესახებ[1]. ძირითადი ზომების დაცვისას რაიმე სირთულის წარმოშობის შემთხვევაში (მაგალითად, თუ არ აქვთ

[1] https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/ advice-for-public

ხელსაბანთან წვდომა ხელების რეგულარულად დასაბანად), დაიხმარონ ოჯახის წევრები, მეგობრები და მზრუნველები. ასევე, დამატებით:

- მაქსიმალურად აარიდონ თავი ხალხმრავალ ადგილებს და შეამცირონ ფიზიკური კონტაქტი სხვა პირებთან. შეეცადონ აუცილებელი ვიზიტები არ დაგეგმონ პიკის პერიოდის დროს. შემოთავაზებისას, ისარგებლონ შშმ პირებზე ორიენტირებული სპეციალური ღია საათებით.
- ისარგებლონ ონლაინ-შესყიდვებით ან, მოითხოვონ დახმარება ოჯახის წევრებისგან, მეგობრებისგან ან მზრუნველებისგან, რათა თავიდან აირიდონ ხალხმრავალ ადგილზე ყოფნის საჭიროება.
- შესაძლებლობის ფარგლებში მოიმარაგონ პირველადი მოხმარების ნივთები, როგორიცაა საკვები, ჰიგიენის საშუალებები, მედიკამენტები ან სამედიცინო მარაგი, რათა შეამცირონ საჯარო ადგილებზე ყოფნის სიხშირე.
- შესაძლებლობის ფარგლებში იმუშაონ სახლიდან გაუსვლელად.
- უზრუნველყონ დამხმარე ნივთების დეზინფექცია ხშირად; ეს შეიძლება იყოს შშმ სავარძელ-ეტლი, ყავარჯენი, გადასაჯდომი დაფა, ხელჯოხი ან სხვა რაიმე საშუალება, რომელიც ხშირად გამოიყენება საჯარო ადგილებში.

სახლი, გარემო:

- შშმპ პირის COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აღნიშნული პირის შესახებ ინფორმაცია იცოდნენ მისი ნდობით აღჭურვილმა პირებმა, მათ შორის ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა და სხვა. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია ჯანმრთელობის დაზღვევის, მედიკამენტების, ასევე იმ საჭიროებების შესახებ, რაც აღნიშნულ პირზე დამოკიდებულ ხალხს (შვილები, მოხუცი მშობლები) ან შინაურ ცხოველებს სჭირდება.
- მნიშვნელოვანია შშმ პირის გარშემომყოფმა იცოდნენ თუ როგორ მოიქცნენ აღნიშნული პირის COVID-19-ით დაინფიცირების შემთხვევაში.
- შშმ პირებმა ჩაინიშნონ შესაბამისი ჯანდაცვის მომსახურებების და ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, კითხვების გაჩენისას ან არასასწრაფო სამედიცინო მომსახურების საჭიროებისას.

რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურებისათვის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ხელმისაწვდომი კომუნიკაციის უზრუნველყოფა შემდეგი მიმართულებებით:

- წარწერებით, ასევე ყველა საჭირო ენაზე პირდაპირი ჩართვებით. ნაციონალურ დონეზე ბრიფინგების და პრესკონფერენციების მოწყობით.
- ინტელექტუალური თუ კოგნიტური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადვილად წასაკითხი/გასაგები საზოგადოებრივი მასალებით .
- შემუშავებულ იქნას ხელმისაწვდომი წერილობითი ინფორმაცია ,,word" დოკუმენტის ფორმატში, სათაურის გამოყოფით, დიდი ბეჭდური ასოებით, მხედველობა დაქვეითებულთათვის ბრაილის ვერსიით, ხოლო ყრუთათვის ინფორმაცია უნდა იყოს ხილულად აღქმადი.
- გამოყენებულ იქნას წარწერები სურათებზე. სურათები უნდა იყოს ინკლუზიური და არა სტიგმის შემცველი.
- მთავრობამ უნდა იმუშაოს შშმ პირთა ორგანიზაციებთან, ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

რეკომენდაციები ჯანდაცვის მუშაკებისათვის

COVID-19-ის ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის, შესაძლებლობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა

- გაითვალისწინონ ჯანმო-ს (WHO) გაიდლაინები ჯანდაცვის მუშაკებისათვის COVID-19- ის ეპიდემიის დროს (https://www.who.int/docs/default-source/coronaviruse/who-rights-roles-responhw-covid-19.pdf?sfvrsn=bcabd401_0)
- ყველა ის კლინიკა, რომელშიც ტარდება ტესტირება და COVID-19-თან დაკავშირებული მომსახურება, შშმ პირთათვის უნდა იყოს ფიზიკურად ხელმისაწვდომი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკურ ბარიერებს (მაგალითად, არათანაბარი ბილიკები, კიბეები, ძნელად მისასვლელი ადგილები ან რთული გამოსაყენებელი მოწყობილობა); ასევე, გასათვალისწინებელია საზოგადოების დამოკიდებულება ბარიერები (მაგალითად, სოციალური სტიგმა შეზღუდული შესაძლებლობის წინააღმდეგ და აუცილებელი (სასიცოცხლო) სერვისების უარის თქმა). ინფორმაცია COVID-19 ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ უნდა იყოს მიწოდებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მათი მომვლელებისათვის.
- ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გასაგები და მრავალფეროვანი ფორმატით, სხვადასხვა საჭიროების გათვალისწინებით. ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს არა მხოლოდ სიტყვიერი და წერილობითი სახით, არამედ სასურველია მათი ადაპტირება კომუნიკაციისათვის, რომ იყოს გასაგები ინტელექტუალური, კოგნიტური და ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
- შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის საშინაო კონსულტაციების განხორციელება, რომელიც მოიცავს მათი ჯანმრთელობის საჭიროებებსა და საჭიროების შემთხვევაში, COVID-19 დაკავშირებულ სერვისებს.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა:

მომსახურების უწყვეტი უზრუნველყოფისათვის შეიმუშავონ და დანერგონ შესაბამისი სამოქმედო გეგმა:

- ნაკლებად საჭირო მომსახურე პერსონალის შემცირების ხარჯზე გააძლიერონ და შეიმუშავონ დამატებითი სამუშაო აღწერილობები ადმინისტრაციული, ტექნიკური რესურსისა და მომვლელები/აღმზრდელებისთვის იმ ორგანიზაციებში, რომლებშიც ამის აუცილებელი საჭიროებაა;
- იმ ახალი კადრების მოსამზადებლად, რომლებიც თავიანთ თავზე აიღებენ დამატებით ფუნქციებს, უზრუნველყონ შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და შესაძლებლობის შემთხვევაში, - ,,ონლაინ“ სწავლება;
- შშმ პირთა აუცილებელი და კრიტიკული საჭიროებების დივერსიფიცირების მიზნით შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია.

ხშირი და უწყვეტი კომუნიკაცია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებთან და მათ მხარდამჭერ ქსელთან:

- მიზნობრივი და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება COVID-19-ს თაობაზე, მათ შორის, განსაკუთრებული ხაზგასმით, იმ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება კონკრეტულად შშმ პირებსა და მათ მხარდამჭერ ქსელს. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ცხელის ხაზის სატელეფონო ნომრებს, ხელმისაწვდომი და უახლოესი სამედიცინო მომსახურებისა და თვითიზოლაციისათვის საჭირო, ასევე, სადეზინფექციო საშუალებების შესაძენი ობიექტების მისამართებს;
- ხელმისაწვდომი ფორმით ინფორმაციის გასაცვლელად სხვადასხვა სახის ისეთი საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა, როგორებიცაა: სატელეფონო ზარები, ტექსტური შეტყობინებები და სოციალური ქსელები.

შშმ პირებისათვის მომსახურების მიწოდებისას COVID-19-ის პოტენციური გავრცელების რისკების შემცირებისა:თვის:

- ინფექციურ და ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებით შშმ პირთა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი სწრაფი სწავლების უზრუნველყოფა;
- მომსახურე პერსონალისა და ბენეფიციარების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (მათ შორის; პირბადეებით, ხელთათმანებით, ხელების სადეზინფექციო საშუალებებით) დროული და საჭირო რაოდენობით მომარაგება და აღჭურვა;
- შშმ პირთათვის შესაბამისი საინფორმაციო მომსახურებების (ტელეკონსულტაციები ან ანალოგიური პლატფორმების საშუალებით) განხორციელება, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში ბინაზე (პირადი დაცვის საშუალებების გამოყენებით);
- შშმ პირთა საცხოვრებელ სივრცეში:
    - დაინფიცირების რისკის შესამცირებლად და ბენეფიციართა ფსიქიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მნახველთა ვიზიტის საათებისა და მათი დაყოვნების ხანგრძლივობის შეცვა.
    - ინფექციური კონტროლის გამკაცრება იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებიც არ არიან ჰოსპიტალიზირებულები, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროებათ დამატებითი იზოლაცია.

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე შშმ პირებისთვის შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება:

- იმ შშმ პირების გამოყოფა, რომლებიც სხვა შშმ პირებისგან განსხვავებით საჭიროებენ დამატებით და განაკუთრებულ მოვლას, მათთან და მათ ოჯახის წევრებთან მუშაობის გაძლიერება;
- შშმ პირებზე სოციალური იზოლაციისა და ყოველდღიური ცხოვრების პირობების შეცვლის მიზეზით გამოწვეული ძალადობის, მკაცრი მოპყრობისა და უგულებელყოფის ფაქტების შესაძლო შემთხვევების რისკების განსაზღვრა და ზემოაღნიშნულის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ზომების (მაგ. ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა) მიღება.

<u>დამატებითი ინფორმაცია:</u>

<u>www.moh.gov.ge</u>
ცხელი ხაზი: 1505

<u>www.ncdc.ge</u>
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge